სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად **რექტორის 2025 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება N: 256/01-01**-ის საფუძველზე - **ბიოლოგიის დეპარტამენტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის** ასოცირებული პროფესორის, აკადემიური თანამდებობაზე დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს **2025 წლის 10 ნოემბრის №: 73/2025 დადგენილების** პუნქტი 2-ის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი **„12“ დეკემბერი, 2025 წ.**

თსუ XI კორპ. ოთახი #547 **12:00 სთ**

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 4 წევრი:

1. დიანა ძიძიგური - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ნანული დორეული - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. მაგდა ალანია - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორი (კომისიის მდივანი),
4. ნანული კოტრიკაძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ბიოლოგიის დეპარტამენტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის** სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფესორ დიანა ძიძიგურის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

კომისიის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

1. **მოისმინეს:** კომისიის თავჯდომარემ პროფესორმა დიანა ძიძიგურმა აღნიშნა, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის **ბიოლოგიის დეპარტამენტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის** (ბ კატეგორია) საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - აკადემიურმა დოქტორმა ნუნუ მიცკევიჩმა.
   კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

   აღინიშნა, რომ ნუნუ მიცკევიჩის
   განათლება - 1989-1994- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. მინიჭებული კვალიფიკაცია - ბიოლოგი, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელი.
   აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი - 2003, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრებული, დიპლომი: № 003549; სპეციალობა-14.00.36 (იმუნოლოგია), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის B 03.15 #7 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით.
   სამსახურებრივი გამოცდილება - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, იმუნოლოგიის კათედრის მასწავლებელი (1998-2004) – კათედრის დოცენტი (2004-2006); ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მოწვეული კონტრაქტის წესით (2006-2007); ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მოწვეული საათობრივი ანაზღაურების წესით (2007-2009), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის მიმართულება, იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ქვემიმართულების ასისტენტ-პროფესორი (2009-2012), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრა, ასოცირებული პროფესორი (2012-2025);

   პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი);

   შეთავსებით მუშაობა: 2019-დან 2023 წლამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მინისტრის მოადგილე; განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი (2023-2025); 2025 წლის პირველი ოქტომბრიდან დღემდე საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ), ვიცე-რექტორი;

   ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

   შესაბამისად, კონკურსანტმა **I კატეგორიის** (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „**კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.**

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა - პროფილთან: 1998 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის იმუნოლოგიის კათედრის მასწავლებელი, 2004-2006 წლებში ამავე კათედრის დოცენტი, 2006 წლიდან 2009 წლამდე აღნიშნული კათედრის მოწვეული პედაგოგი, 2009 დან 2012 წლამდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, 2012 წლიდან დღემდე ასოცირებული პროფესორი **და საერთო პედაგოგიური სტაჟი (6 წელზე მეტი), მის მიერ შემოთავაზებული და წაკითხული სასწავლო კურსები** (3 საბაკალავრო, 1 ერთსაფეხურიანი ქართულ-ინგლისურ ენებზე და 5 სამაგისტრო) **ვაკანსიის პროფილის შესაბამისია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დადგენილ მოთხოვნებს.** კონკურსანტის ანკეტაში არ არის წარმოდგენილი **სასწავლო-მეთოდური საქმიანობისა** და **კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებისა და ტრენინგების** შესახებ ინფორმაცია და შესაბამისად კონკურსანტი II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტი იმსახურებს შეფასებას - "**საშუალო**" .

III კატეგორია - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - პუბლიკაციები გამოქვეყნებული WEB of SCIENCE იმპაქტ–ფაქტორის მქონე ჟურნალებში - 4; Scopus-ის იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში- 1; სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები - 3; Google scholar-ის მიხედვით ციტირების ინდექსი 61; h - ინდექსი - 5; **ბოლო 6 წლის განმავლობაში კონფერენციებსა და საგრანტო პროექტებში მონაწილეობის** შესახებ არ იყო წარმოდგენილი ანკეტაში ინფორმაცია. **საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი ნაშრომი (**Characterization of a Bacteriophage GEC_vB_Bfr_UZM3 Active against Bacteroides fragilis. Viruses, April 2023,15(5)) არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია Web of Science-ის მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში. **სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში** კონკურსანტი დეტალურად აღწერს მის ამჟამინდელ სამეცნიერო კვლევებსა და გეგმებს, ამ კვლევების აქტუალობას. მისი კვლევითი მიმართულებებია: 1)პროსტატის სიმსივნის იმუნოპათოგენეზისა და ანტისიმსივნური იმუნიტეტის კვლევა. კერძოდ, ენდოთელური ღერძი, ეპიგენეტიკური მოდულატორები და T უჯრედების ანტისიმსივნური ეფექტურობა პროსტატის კიბოს თაგვის მოდელში; 2)ფილტვის ტუბერკულოზის იმუნოპათოგენეზის კვლევა. კერძოდ, γδT უჯრედული პოპულაციის გამოყენება ფილტვის ტუბერკულოზის მქონე პაციენტებსა და მათი ოჯახის წევრების სტრატიფიკაციისთვის საქართველოში; 3) ფსორიაზის იმუნოპათოგენეზის კვლევა. კერძოდ, T უჯრედული პოპულაციები და მათი ციტოკინური პროფილები ფსორიაზის იმუნოპათოგენეზში. სამივე მიმართულებით მრავალი წელია მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევები თსუ იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრაზე. კვლევები ვითარდება მჭიდრო კოლაბორაციაში უცხოეთის წამყვან ცენტრებთან ერთად. კერძოდ, 1.პროსტატის სიმსივნის თაგვის მოდელი შექმნილია და კვლევა მიმდინარეობს ვირჯინიის თანამეგობრობის უნივერსიტეტის (რიჩმონდი, აშშ) მკვლევართა ჯგუფის თანამონაწილეობით; 2. ტუბერკულოზის კვლევით პროექტში ჩართულია ვესტმინსტერისა და სენტჯორჯის უნივერსიტეტების კვლევითი ჯგუფები (ლონდონი, დიდი ბრიტანეთ); 3. ფსორიაზის იმუნოპათოგენეზის კვლევაში უცხოელი კოლაბორატორები არიან ფერარას და მილანის უნივერსიტეტების კვლევითი ჯგუფები (იტალია).

მაღალი სამეცნიერო პროდუქტიულობის, უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის გათვალისწინებით და კვლევების აქტუალობიდან გამომდინარე **III კატეგორიის პირველი ნაწილის - „ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი**

პროცესების ინტეგრაციას“ მიხედვით კონკურსანტის შეფასება არის **„მაღალი“.** ბოლო 6 წელიწადში კონფერენციებსა და საგრანტო პროექტებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის გათვალისწინებით **III კატეგორიის მეორე ნაწილის - „ხელს შეუწყობს თსუ-ის ეროვნული და საერთაშორისო პოპულარობას“** მიხედვით კონკურსანტის შეფასება არის **„საშუალო“.**

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი). აღნიშნულ კატეგორიაში წარმოდგენილი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში კონკურსანტის მიერ განხორციელებული სხვა სახის აქტივობები. კერძედ: 3 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა და 3 დოქტორანტის ხელმძღვანელობა.

დამატებითი ინფორმაცია -

1. ევროპის ინოვაციის საბჭოს (EIC) გამგეობის წევრი - 2022-2023 წ.წ.
2. ერთობლივი კვლევების საბჭოს (JRC) გამგეობის წევრი 2021-2023 წ.წ.
3. „ჰორაიზონ ევროპას“ სამეთვალყურეო კომიტეტის თანათავმჯდომარე საქართველოს მხრიდან 2021-2023
4. საქართველოს ალერგოლოგიის და კლინიკური იმუნოლოგიის ევროპის აკადემიის სამუშაო ჯგუფის „Biologicals” წევრი 2019-2023 წწ
5. ალერგოლოგიია მსოფლიო ორგანიზაცია (WAO) – 2015-2025
6. საქართველოს ალერგოლოგიის და კლინიკური იმუნოლოგიია ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, 2024-2019, 2025 წ.წ.
7. საქართველოს გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი 2016-2019, 2025 წ.წ.
8. საქართველოს გამოყენებითი მიკრობიოლოგიის ასოციაციის გამგეობის წევრი 2016-2019, 2025 წ.წ.

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის** მიხედვით არის **„მაღალი“.**

კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ დადგენილი პროცედურების დაცვით, გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება. გასაუბრება კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კონკურსანტმა ამომწურავად უპასუხა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს. მათ შორის, კომისიის წევრმა ქალბატონმა ნანული კოტრიკაძემ ჰკითხა კონკურსანტს, თუ რატომ არ შეიტანა მან ანკეტის 2.2 პუნქტში მონაცემები ელექტრონული კურსების შესახებ. კონკურსანტმა უპასუხა, რომ სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ გაუმართაობას ფაილის შენახვის დროს. კომისიის თავჯდომარემ ჰკითხა კონკურსანტს, თუ რატომ არ მიუთითა მან მისი ხელმძღვანელობით არსებული დოქტორანტების გრანტები III კატეგორიაში. კონკურსანტმა უპასუხა, რომ იმ პერიოდში იგი ითავსებდა მინისტრის მოადგილის თანამდებობას, რაც მოდიოდა ინტერესთა კონფლიქტში გრანტის ხელმძღვანელობასთან. კომისიის მდივანმა მიმართა კონკურსანტს საკონკურსო ანკეტის 3.1 პუნქტთან დაკავშირებით. კერძოდ, მან აღნიშნა რომ აღნიშნული პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი 7 სტატიიდან 4 იძებნება Web of Science-ში, 1-Scopus-ში, ხოლო 2-არ იძებნება ამ ბაზებში, ტუმცა ნამდვილად ჩანს ინტერნეტში. შესაბამისად 2 სტატია რაოდენობრივად დაემატა 3.2 პუნქტით გათვალისწინებულ სტატიებს. კონკურსანტმა უპასუხა, რომ ეს უკანასკნელი არის წიგნიდან თავები და სავარაუდოდ ამიტომ არ მოხვდა ზემოხსენებულ ბაზებში.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ დადებითად შეაფასა პრეტენდენტის დარგობრივი უნარები, პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში გამოვლინდა პრეტენდენტის სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის განვითარებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების მისეული ხედვა. გამოჩნდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სტანდარტების ცოდნა. კონკურსანტის პიროვნული თვისებები.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კონკურსანტ ნუნუ მიცკევიჩის კანდიდატურა შესაბამისობაშია ბიოლოგიის დეპარტამენტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის 5 წევრიდან 4 წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგი) ერთხმად დაუჭირა მხარი დოქტორ ნუნუ მიცკევიჩის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ბიოლოგიის დეპარტამენტის იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიური აკადემიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მისი პიროვნული და პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის **იმუნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის კათედრის** ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე (B კატეგორია) გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ბიოლოგიის დოქტორი **ნუნუ მიცკევიჩი.**

2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა *თარიღი 12.12.2025წ.*

კომისიის თავმჯდომარე, პროფ. /დ. ძიძიგური/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პროფ. / ნ. დორეული/

კომისიის მდივანი, ასოც. პროფ. /მ. ალანია/

კომისიის წევრი, პროფ. / ნ.კოტრიკაძე/